ოქმი:**ო63. 6324310001**
თარიღი:**05/11/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N13

ქ.სამტრედია 30 ოქტომბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

დღის წესრიგი:

1.გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2024 წლის 20 სექტემბრის N43 სხდომის ოქმიდან ამონაწერის შესახებ.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2.სხვადასხვა**.**

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (10) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს N01/2037 წერილობითი მომართვა.

ირაკლი მელაშვილი - მომართვაში წარმოდგენილია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმი N43-დან ამონაწერი. სხდომაზე განხილულ იქნა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართვა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში N18 ქუჩისათვის შალვა ნუცუბიძის სახელის მინიჭების თაობაზე. სამთავრობო კომისიის წევრებმა მოსაზრება დააფიქსირეს და დაადგინეს, რომ მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშში N18 ქუჩას მიენიჭოს შალვა ნუცუბიძის სახელი.

კომისიის წევრებმა მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

დაადგინეს: კომისიის წევრები კენჭისყრის შედეგად, (10) ხმით ეთანხმება საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი